ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.09.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/23

შეკითხვა:

როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი მაშინ, როდესაც მისი მარწმუნებელი გარდაიცვალა და მიმდინარე საქმის დოკუმენტების გადაცემას ითხოვს მისი ერთ-ერთი ოჯახის წევრი.

ანალიზი:

ადვოკატს, როგორც რწმუნებულს, აქვს ვალდებულება კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მას დაუბრუნოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში, რადგან საქმის წარმოებით პირველ რიგში დაინტერესებულია კლიენტი, ხოლო ადვოკატი, როგორც ფიდუციარი, მისი სპეციალური ცოდნითა და გამოცდილებით, მხოლოდ ეხმარება კლიენტს მისი ინტერესის დაკმაყოფილებაში. შესაბამისად, ადვოკატი ანგარიშვალდებულია მხოლოდ კლიენტთან, და მას აქვს ვალდებულება, საქმეზე მოპოვებული ინფორმაცია, კლიენტის თანხმობის გარეშე არ გახადოს ცნობილი მესამე პირებისთვის და დაიცვას მისი კონფიდენციალურობა გასული დროის მიუხედავად.

თავის მხრივ, კლიენტის გარდაცვალების შემთხვევაში ადვოკატი ანგარიშვალდებული ხდება მისი კლიენტის მემკვიდრეების წინაშე, რადგან თავად საქმეც და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია თუ დოკუმენტაცია შედის სამკვიდრო ქონებაში, რომელიც ეკუთვნის მემკვიდრეს, ხოლო გარდაცვლილი კლიენტის მემკვიდრედ მიიჩნევა ის პირი, რომელზეც კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულია სამკვიდრო მოწმობა. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას მინდობილი საქმის მასალები, არ გადასცეს ის მესამე პირს, მიუხედავად მისი ფაქტობრივი ნათესაური კავშირისა გარდაცვლილ კლიენტთან და დაელოდოს კანონის წესის შესაბამისად გაცემული სამკვიდრო მოწმობის წარმოდგენას, ხოლო ამ დროის განმავლობაში, კლიენტის ინტერესის გათვალისწინებით განახორციელოს ყველა ის ქმედება, რომელიც შესაძლო ზიანის მიყენებისგან დაიცავს კლიენტის უფლებამონაცვლეს.

დასკვნა:

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას გარდაცვლილი კლიენტის საქმეზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, არ გადასცეს საქმის დოკუმენტები მესამე პირს, მიუხედავად გარდაცვლილი კლიენტისა და მისი ფაქტობრივი ნათესაური კავშირისა, დაელოდოს

დაინტერესებული პირის მიერ კანონის შესაბამისი წესით გაცემული სამკვიდრო მოწმობის წარმოდგენას და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს საქმის მასალები გარდაცვლილი კლიენტის უფლებამონაცვლეს.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.